რევაზ თაბუკაშვილი

რევაზ თაბუკაშვილი 1927 წლის 2 აგვისტოს თბილისში დაიბადა. 1944 წ. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში, რომელიც 1949 წ. დაამთავრა.

1949-52 წ.წ. მუშაობდა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში. 1953-54 წ.წ. საქ. კულტურის სამინისტროს, 1954-58 წ.წ. კინოსტუდია "ქართული ფილმის" სასცენარო განყოფილების უფროსია, 1959-67 წ.წ. კი საქ. კინომატოგრაფისტთა კავშირის მდივანი. 1971 წლიდან სათავეში უდგას კინოსტუდია "ქართულ ფილმთან" არსებულ მწერალთა გაერთიანებას.

1967 წლიდან იყო საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინომატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის, აგრეთვე, მწერალთა კავშირის და საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრი.

რ. თაბუკაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობა 1948 წლიდან იწყება. ამ დროიდან მოყოლებული იგი თარგმნიდა და ჟურნალ-გაზეთებში პერიოდულად ბეჭდავდა, ხოლო 1968 და 1979 წლებში ცალკე წიგნებად გამოაქვეყნა, უ. შექსპირის სონეტების მისეული შესანიშანავი თარგმანები.

ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა რ. თაბუკაშვილი ქართული დრამატულ მწერლობაშიც. 1953 წ. იგი წერს "რაიკომის მდივნის" სახელწოდებით პიესას, რომელიც იმთავითვე იქცევს ყურადღებას და წლების მანძილზე მყადარ იკიდებს ფეხს საქართველოს თეატრების რეპერტუარში.

მას ეკუთვნის აგრეთვე რესპუბლიკის სხვადასხვა თეატრის სცენაზე განხორციელებული პიესები: "რას იტყვის ხალხი" (1955), "დენბურგის ზარი" (1968), "გაზაფხულის ნიაღვარი", "რაიკომის მდივანის", ძირეულად გადამუშავებული ვარიანტი. (1957).

მისი სცენარებით შეიქმნა ფილმები: "თეთრი სასტუმრო" (1958), "კარდაკარ" (1960), "ქორბუდა" (1962), "ჯვარცმული კუნძული" (1968), "მზე შემოდგომისა" (1974), "რაც დავიწყებას არ ებინდება" (1976).

იგი არის ო. თაქთაქიშვილის ოპერა "მინდია"-ს ლიბრეტოს ავტორი.

1975 წლიდან რ. თაბუკაშვილი იწყებს ინტესიურ სარეჟისორო მოღვაწეობას ქართულ კინომატოგრაფიაში და ზედიზედ ქმნის მისივე სცენარების საფუძველზე ფართოდ გახმაურებულ ფილმებს: "რეპორტაჟი ნიდერლანდებიდან" (1975), "ვიტორიო სელლა" (1980), "მიხეილ ხერგიანი" (1981), "ფურცლები ფრანგული დღიურებიდან" (1982), "საქართველოს მეჭურჭლეთ უხუცესი" (1985) (ეს უკანასკნელი აღნიშნა სახელმწიფო პრემიით).

ამ ფილმების ავტორს დიდად ემადლიერება ჩვენი საზოგადოებრიობა. რ. თაბუკაშვილმა ჭეშმარიტ მამულიშვილთა და სახალხო გმირთა მივიწყებულ სახელებს ნათელი შარავანდედი დაადგა და მაღალმოქალაქეობრივი და პატრიოტული მოღვაწეობის შესანიშნავი მაგალითი გვიჩვენა. 1981 წ. რ. თაბუკაშვილი დოკუმენტური ფილმების: "დიდგორის", "ქართველები იტალიაში" , "კვალი ნათელის" და "ალპიური ვარსკლავის" შექმნისათვის დაჯილდოვდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიით.

1967 წ. მიენიჭა საქ. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

რ. თაბუკაშვილის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

ავტობიოგრაფია

1. რევაზ თაბუკაშვილის ავტობიოგრაფია.

1953 წ. 24 აგვისტო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

სარეგისტრაციო ფურცელი

2. საქართველოს საავტორო უფლებების დაცვის სამსახურის, რ. თაბუკაშვილის სარეგისტრაციო ბარათი. ერთვის რ. თაბუკაშვილის ნაწარმოებების ჩამონათვალი.

1954 წ. 22 ივლისი. მოსკოვი. ბლანკი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ანკეტა

3. რ. თაბუკაშვილის კადრების აღრიცხვის ფურცელი. ერთვის ფოტო.

1953 წ. 24 აგვისტო. თბილისი. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 5 გვ.

4. თეატრის, მუსიკის და კინოს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ გაცემული რ. თაბუკაშვილის ანკეტა.

1979 წ. 20 მაისი. თბილისი. ბლანკი. ავტოგრაფი. შავი მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 3 გვ.

დახასიათებები

5. რ. თაბუკაშვილის დახასიათება, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მიერ.

1953 წ. 22 აგვისტო. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.

6. რ. თაბუკაშვილის პარტიული დახასიათება.

1953 წ. 24 ავისტო. ნაბეჭდი. 1 გვ.

ბრძანებები

7. ბრძანება საქართველოს სსრ კინომატოგრაფიის მთავარ სამმართველოში რ. თაბუკაშვილის მთავარ რედაქტორად დანიშვნის შესახებ.

1953წ. აგვისტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

8. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ბრძანება რ. თაბუკაშვილის შვებულებასთან დაკავშირებით.

1954 წ. 10 ივლისი. ბლაკი. ნაბეჭდი. 1 გვ.

9. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ბრძანება რ. თაბუკაშვილის დამატებითი შვებულების შესახეხ.

1954 წ. 17 ივლისი. თბილისი. ნაბეჭდი. ბლანკი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

10. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ბრძანება რ. თაბუკაშვილის შვებულების დასრულების შესახეხ.

1954 წ. 23 სექტემბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.

11. საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის ბრძანება, რ. თაბუკაშვილისა და ლეო ესაკიას თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ.

1954 წ. 8 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

12. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ბრძანება, რ. თაბუკაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და გურამ ასათიანის დანიშვნის შესახებ.

[1995 წ. 8 იანვარი]. ნაბეჭდი. 1 გვ.

ცნობა

13. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ, რ. თაბუკაშვილის ნაწარმოების შესახებ, გაცემული ცნობა საუდში წარსადგენად.

1954 წ. 22 ივნისი. თბილისის. ბლანკი. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

განცხადებები

14. რ. თაბუკაშვილის განცხადება შვებულების შესახებ.

პირი: ვ.ი. ჭიაურელი.

1953 წ. 22 აგვისტო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

15. რ. თაბუკაშვილის განცხადება შვებულების შესახებ.

პირი: ლ. ესაკია.

1954 წ. 8 ივლისი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

16. რ. თაბუკაშვილის განცხადება შვებულების შესახებ.

1954 წ. 14 ივლისი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

17. რ. თაბუკაშვილის განცხადება, საავტორო უფლებების დაცვის სამმართველოს დირექტორს, კუთვნილი ჰონორარის შესახებ.

1958 წ. 12 ნოემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

18. რ. თაბუკაშვილის განცხადება, საავტორო უფლებების დაცვასთან დაკავშირებით.

ერთვის ნაწარმოებების ჩამონათვალი.

1965 წ. 24 დეკემბერი. ბლანკი. ხელნაწერი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

19. საავტორო უფლებების დაცვის საკავშირო სამმართველო. რ. თაბუკაშვილის განცხადება ნაწარმოებების რეგისტრაციის შესახებ.

1966 წ. 8 აგვისტო. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 გვ.

20. რ. თაბუკაშვილის განცხადება საავტორო უფლებების დაცვის სამმართველოში.

პიესა “ჯვარცმული კუნძული”-ს შესახებ.

1968 წ. 11 დეკემბერი. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 გვ.

21. რ. თაბუკაშვილის განცხადება შვებულებიდან დაბრუნების შესახებ.

უთარიღო. მელანი. ავტოგრაფი. 1 გვ.

დამტკიცების ფურცელი

22. რ. თაბუკაშვილის პიესა “ რას იტყვის ხალხი”-ს დამტკიცების ფურცელი.

1955 წ. თბილისი. ნაბეჭდი. მინაწერით. მელანი. 1 გვ.

დიპლომი

23. რ. თაბუკაშვილის დიპლომი. მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტი საერთაშორისო ურთიერთობებში.

1953 წ. 30 ნოემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ნოტარიულად დამოწმებული. 1 გვ.

არქივი დაამუშავა დავით ოყუჯავამ 2019 წ.